საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ნათია მერაბიშვილის* **----------** **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	17	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	19	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	4	5
ქულათა ჯამი	90	100

სახელი, გვარი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი

თარიღი: 29.04.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ პროცედურაში
მონაწილე კანდიდატის - **ნათია მერაბიშვილის** შეფასების დასაბუთება

29.04.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის N¼ განკარგულებით დაწყებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის - **ნათია მერაბიშვილის** შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კეთილსინდისიერების კრიტერიუმით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლით დადგენილი მახასიათებლების მიხედვით.

მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	ამ კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის - ნათია მერაბიშვილის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული მისი, როგორც მოსამართლის და მოქალაქის პატიოსნება, გულმოდგინება, პრინციპულობა, კომპეტენტურობა, კორექტულობა, მიზანდასახულობა, ტოლერანტულობა, შეუვალობა, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა და სხვა თვისებები. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი სამსახურებრივ და სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად. ნათია მერაბიშვილი არის პოლიტიკური და სხვა ნიშნით მიუკერძოებელი, გამოირჩევა მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით.
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	კანდიდატს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, არ არის რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში. კანდიდატს უფიქსირდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 5 ფაქტი, დაკისრებული ჯარიმები გადახდილია კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. რეკომენდატორები და კანდიდატთან პიროვნულ თუ პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირები ნათია მერაბიშვილის პირად თვისებებსა და პროფესიულ საქმიანობას აფასებენ დადებითად და მიაჩნიათ, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. მოძიებული ინფორმაციით დასტურდება, რომ კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა ან/და სისხლის სამართალწარმოება დაწყებული არ არის, ასევე კანდიდატი არ არის ცნობილი დაზარალებულად ან წარმოდგენილი მხარედ სამართლებრივ დავაში. ნათია მერაბიშვილი არასდროს ყოფილა რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის მხარდამჭერი, წევრი ან/და შემომწირველი. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ასევე საჯარო მოსმენისას კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის მიკერძოებული დამოკიდებულება რომელიმე კონკრეტული ჯგუფის მიმართ. ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ ნათია მერაბიშვილი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი, სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით	**საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით დადგენილი წესით.**		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	**კომენტარი**
სამართლის ნორმების ცოდნა	17	20	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ცოდნის დონე, აგრეთვე - გამოტანილ გადაწყვეტილებებში სამართლის ნორმების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების სისწორე. საჯარო მოსმენით მიღებული შთაბეჭდილება. კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენისა და მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების შესწავლის შედეგად მიმაჩნია, რომ ნათია ბერაზიშვილი კარგად იცნობს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. გასაუბრებისას მან ასევე გამოავლინა საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და პრაქტიკის ცოდნის სათანადო დონე. საჯარო მოსმენის პროცესში დასმული კითხვების შესაბამისად, კანდიდატმა ისაუბრა დისკრიმინაციის აკრძალვის, პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაციის შესახებ. ვრცლად ისაუბრა ბავშვის უფლებათა კოდექსის მიზნისა და ბავშვის საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობის შესახებ. კანდიდატმა იმსჯელა კანონიერი ნდობის ადმინისტრაციულ სამართლებრივი ინსტი-		

			ტუტის შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული ქარტიის მიხედვით, აგრეთვე, ვრცლად ისაუბრა გამოხატვის კონსტიტუციური უფლების არსისა და ფარგლების თაობაზეც. თანმიმდევრულად განმარტა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და დაუსწრებელი გადაწყვეტილების თავისებურებები დადებით და უარყოფით კონტექსტში. შედარებით ნაკლებად დამაჯერებელი იყო მისი მსჯელობა სასამართლო განაჩენის გადასინჯვის შესახებ. გაუჭირდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა დარღვევის სუბიექტის დეფინიციის ჩამოყალიბება. მიმაჩნია, რომ ვერ გასცა ჯეროვანი პასუხი კითხვას ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის განსაზღვრულ უფლებათა ბოროტად გამოყენების აკრძალვისა და უფლებათა შეზღუდვის არსის შესახებ. თუმცა, დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები უმეტეს შემთხვევაში იყო არგუმენტირებული. ამასთან, უნდა ითქვას, რომ კანდიდატი გაცილებით დამაჯერებლად გამოიყურება სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის (ნაკლებად - სისხლის სამართლის) სფეროში. საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ნათია მერაბიშვილის პროფესიული ცოდნა არის საკმაოდ საფუძვლიანი და სიღრმისეული.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**18**	**20**	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება, აგრეთვე სამოსამართლო გამოცდილების კანდიდატის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა. ნათია მერაბიშვილს აქვს ხანგრძლივი პროფესიული და მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის თითქმის 12 წლიანი გამოცდილება. კანდიდატს გააჩნია აზრის დამაჯერებლად

			გადმოცემის უნარი, თუმცა გარკვეულ მომენტებში მისი მოსაზრებები მეორდება და აკლია ლაკონურობა. მიმაჩნია, რომ შეუძლია სამართლის კონკრეტულ - ადმინისტრაციულ და სამოქალაქო - სფეროში აქტუალურ საკითხებზე დამაჯერებელი მსჯელობა. დასაბუთების დროს, საჭიროების შემთხვევებში, მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებსა და სამართლებრივ ლიტერატურაზე.
წერის უნარი	19	20	ამ მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება წერილობით აზრის გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. ნათია მერაბიშვილის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მას გააჩნია სათანადო წერის უნარი. აღსანიშნავია, რომ იგი ახერხებს განხილული სამართლებრივი საკითხების სწორად აღქმას და მისი მსჯელობის თანმიმდევრულად, ნათლად გადმოცემას. შესწავლილ დოკუმენტებში თვალსაჩინო გრამატიკული ხასიათის შეცდომა არ გამოვლენილა.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას მხედველობაში მიიღება გამართული მეტყველებისა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა (უნარი) და საჯარო მოსმენისას მიღებული სხვა შთაბეჭდილება. ამ მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას, სხვა ინფორმაციასთან ერთად, მხედველობაში მივიღე საჯარო მოსმენისას კანდიდატის გამოსვლა და ვფიქრობ, რომ ნათია მერაბიშვილი ძირითადად მეტყველებს კარგად, გამართულად და გარკვევით. გასაგებად და არგუმენტირებულად მსჯელობდა დასმული კითხვების ირგვლივ. თუმცა, ზოგიერთი საკითხის ვრცლად

			განხილვისას შეიმჩნეოდა მოსაზრებების განმეორება. ასევე მიმაჩნია, რომ კანდიდატს გააჩნია სხვისი მოსაზრების მოთმინებით მოსმენის უნარი.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**14**	**15**	აღნიშნული მახასიათებლით სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება, ქცევა სასამართლო დარბაზში და სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, საპროცესო ვადების დაცვა და სხვა უნარები. როგორც რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები აღნიშნავენ, კანდიდატი გამოირჩევა პუნქტუალურობით, გააჩნია საქმის ჯეროვნად, პასუხისმგებლობით მომზადების, მხარეებთან სათანადოდ მოქცევის, სასამართლო სხდომის კარგად წარმართვისა და გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა უნარი. მოძიებული ინფორმაციით, კანდიდატის მიმართ დისციპლინური წარმოება დაწყებული არ არის.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**4**	**5**	აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, პროფესიული წვრთნის პროგრამაში მონაწილეობა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა. ნათია მერაბიშვილი ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს, ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა

			სამივე (საერთო) სპეციალიზაციით. კანდიდატი არის ღია სიახლეების მიმართ და გააჩნია თვითგანვითარების უნარი. აღსანიშნავია, რომ ახალი ცოდნის შეძენისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების მიზნით იგი აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა პროფესიულ სემინარსა და სამუშაო შეხვედრაში.
პროფესიული აქტივობა	4	5	აღნიშნული მახასიათებლებით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, მისი სამეცნიერო და სხვა პუბლიკაციები, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატის მიმართ შეფასებისას აგრეთვე გაითვალისწინება სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ღიად და თავისუფლად გამოხატვა. ნათია მერაბიშვილის პროფესიულ აქტივობასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ მას მონაწილეობა აქვს მიღებული მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში. იგი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას და არ აქვს წარმოდგენილი სამეცნიერო ან სხვა სახის პუბლიკაცია.
ქულათა ჯამი	**90**	**100**	

დასაბუთება

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად, თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი ნათია მერაბიშვილი კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, როგორიც არის - პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი, დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, პიროვნული და პროფესიული ქცევა, პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია და ფინანსური ვალდებულება.

ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კანდიდატთან დაკავშირებით *<u>პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის</u>* მახასიათებლის თაობაზე შეიძლება ითქვას, რომ ნათია მერაბიშვილის შესახებ გამოკითხული პირები და რეკომენდატორები კანდიდატს აფასებენ როგორც პატიოსან, პრინციპულ, მიზანდასახულ, გულმოდგინე, ტოლერანტულ და შრომისმოყვარე პიროვნებას. ამასთან, აღნიშნავენ, რომ იგი გამოირჩევა პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით და შეუვალობით. რესპოდენტები არ მიუთითებენ კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებზე. ნათია მერაბიშვილს გააჩნია პასუხისმგებლობისა და მოვალეობების შესაბამისი შეგნება და სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ინფორმაციით, ბოლო სამი წლის განმავლობაში კანდიდატს უფიქსირდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის 5 ფაქტი, სანქციად დაეკისრა ჯარიმები, რომლებიც გადახდილია დროულად. ეს ყველაფერი კი ცხადყოფს, რომ კანდიდატს სწორად აქვს შეგნებული როგორც პირადი, ისე პროფესიული მოვალეობები.

რაც შეეხება *<u>დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელს</u>*, ნათია მერაბიშვილს გამოკითხული რეკომენდატორები აფასებენ როგორც შეუვალ, პრინციპულ და დამოუკიდებელ პიროვნებას. მიუთითებენ, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციითა და საჯარო მოსმენისას მის მიერ გამოვლენილი თვისებების გათვალისწინებით შემექმნა შთაბეჭდილება, რომ არის პიროვნულად მყარი და ზეგავლენის მიმართ მედეგი მოსამართლე. ნათია მერაბიშვილი არ ყოფილა არცერთი

პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ან შემომწირველი. საჯარო მოსმენაზეც მისი მხრიდან არ გამოვლენილა პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის ნიშნები.

პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ნათია მერაბიშვილი იცავს ეთიკის წესებს, კოლეგებთან თუ სხვა პირებთან ურთიერთობისას არის კორექტული და გამოირჩევა მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით. საჯარო მოსმენის შედეგად დამრჩა შთაბეჭდილება, რომ იგი არის ემოციურად გაწონასწორებული და თავაზიანი. ამასთან კანდიდატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა, სისხლისსამართლებრივი წარმოება დაწყებული არ არის, სასამართლო დავებშიც მხარედ წარმოდგენილი არასდროს ყოფილა. საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, ნათია მერაბიშვილი დაზარალებულად არ ყოფილა ცნობილი.

პიროვნულ და პროფესიულ რეპუტაციის მახასიათებლის მიხედვით კანდიდატის პიროვნულ თვისებებს, ისევე როგორც მის პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორ-მაციის თანახმად, ნათია მერაბიშვილის შესახებ ინტერნეტ სივრცეში იძებნება სხვადასხვა სახის ინფორმაცია განხილულ საქმეებთან დაკავშირებით. ნათია მერაბიშვილს მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა სახის პროფესიულ შეხვედრაში.

ფინანსური ვალდებულების მახასიათებელთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას, რომ ნათია მერაბიშვილს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, მას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება და მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების შემოწმების შედეგად, გამოიკვეთა, რომ არ არსებობს მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირის-პირების საფუძველი, რამაც შესაძლოა შემდგომში საფრთხის ქვეშ დააყენოს მოსამართლის მიუკერძოებლობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ვინაიდან არ გამოიკვეთა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება
კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე ნათია მერაბიშვილის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული

მახასიათებელი. კერძოდ, სამართლებრივი ნორმების ცოდნა, სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია, წერის უნარი, ზეპირი კომუნიკაციის უნარი, პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში, აკადემიური მიღწევები, პროფესიული წვრთნა და პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, მათ შორის, მის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებს და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას.

კანდიდატის მიერ სამართლებრივი ნორმების ცოდნის კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ ნათია მერაბიშვილი ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის მიმართულებით კარგად ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი კარგად იცნობს კონსტიტუციის ნორმებს, საერთაშორისო სამართლის ნორმებს და ეცნობა კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს, აგრეთვე, ეროვნული და საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკას. აღსანიშნავია, რომ მას ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (სპეციალიზაცია - საერთო). ამასთან, იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის VII ჯგუფის მსმენელი და იუსტიციის მსმენელთა საერთო საკვალიფიკაციო სიაში დაიკავა მე-5 ადგილი.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2024 წლის 24 აპრილს ნათია მერაბიშვილთან გაიმართა საჯარო მოსმენა. საჯარო მოსმენაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს არაერთი სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვა, რაც ზემოთ არის აღნიშნული. კანდიდატმა როგორც სამართლებრივი, ასევე ზოგადი ხასიათის საკითხებზე დააფიქსირა ძირითადად არგუმენტირებული, ამომწურავი და კვალიფიციური პასუხები. უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი - ნათია მერაბიშვილი საჯარო მოსმენისას იყო კორექტული და თავაზიანი.

კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების, კომპეტენციისა და წერის უნართან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ მას აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის თითქმის 12 წლიანი გამოცდილება. აღსანიშნავია, რომ ამჟამად კანდიდატი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეა. ნათია მერაბიშვილის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტის შესწავლის საფუძველზე შეიძლება აღინიშნოს, რომ კანდიდატი გამოირჩევა თანმიმდევრული და არგუმენტირებული წერის უნარით. ამასთან, კანდიდატი კარგად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს. იგი ახერხებს სამართლებრივი საკითხების სწორად აღქმას და მისი მსჯელობის ნათლად გადმოცემას. შესწავლილ დოკუმენტებში თვალსაჩინო გრამატიკული ხასიათის შეცდომა არ გამოვლენილა.

ნათია მერაბიშვილის ზეპირი კომუნიკაციის უნართან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მას გააჩნია გამართული მეტყველებისა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. როგორც უკვე აღვნიშნე, კანდიდატი საჯარო მოსმენაზე

ძირითადად ნათლად და გარკვევით გადმოსცემდა საკუთარი შეხედულებებს, თუმცა მომენტებში აზრი მეორდებოდა და საუბარი მონოტონურ ხასიათს იღებდა.

ნათია მერაბიშვილის პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევასთან დაკავშირებით კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციითა და მის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი გამოირჩევა პუნქტუალურობით, გულმოდგინებით, კომპეტენტურობით და გააჩნია სასამართლო სხდომის კარგად წარმართვის უნარი. უშუალოდ კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თაობაზე კი უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის იანვრიდან 2024 წლის იანვრამდე პერიოდის განმავლობაში კანდიდატის მიერ საქმეთა განხილვის საპროცესო ვადების დაცვის პროცენტული მაჩვენებელი შეადგენს 94%-ს, გადაწყვეტილებების მომზადების ვადების დაცვის მაჩვენებელი შეადგენს 60%-ს, ხოლო გადაწყვეტილებების უცვლელად დატოვების პროცენტული მაჩვენებელი შეადგენს 90.5 %-ს.

აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული აქტივობის კრიტერიუმებთან დაკავშირებით, როგორც უკვე აღინიშნა, კანდიდატი ღიაა სიახლეების მიმართ და აქვს თვითგანვითარების, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. ნათია მერაბიშვილი აქტიურად მონაწილეობს მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში. ამასთან, ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა. იგი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას და არ აქვს მომზადებული სამეცნიერო ან სხვა სახის პუბლიკაცია.

შ ე ჯ ა მ ე ბ ა

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი **ნათია მერაბიშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.** ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე კი დადგინდა, რომ მის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი მაქსიმალური 100 ქულიდან შეადგენს 90 ქულას.

შემფასებელი: **ნიკოლოზ მარსაგიშვილი**

29.04.2024